პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 3 აპრილი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 72 (760) | 1 და 2 ქართული მხრ. დივ. პოლიტ-განყოფ. ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## 29 მარტისათვის დანიშნული სამხკორთა თათბირი გადადებულია 5 აპრილისთვის დილის 10 საათზე.

პ. მგ. სამხკორთ, პარტკორთა და ახკომკავშირთა დასწრება სავალდებულოა.

რედაქცია.

## დაუშვებელი მოვლენა.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო რამოდენიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ჩვენ ნაწილებში ადგილი აქვს სამხკორების წერილების „ცენზურას“. თითეულ კორესპონდენციას ნაწილის პასუხისმგებელი პირები ან რომელიმე ორგანიზაცია წინასწარ იხილავს და მხოლოდ მათი დასტურის შემდეგ სამხკორის წერილს ნება ეძლევა იხილოს რედაქციის კარები.

ჩვენ არ ვიცით რა არის მიზეზი ასეთი კანტროლისა ჩვენი წითელ ჯარის ნაწილებში-სამხკორთა მოძრაობის მნიშვნელობის და შინაარსის არ ცოდნა თუ სხვა რამე, მაგრამ ერთი კი რამ ცხადი და ნათელია, რომ ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, რომელიც თავიდანვე უნდა იქმნას აღმოფხვრილი ძირბუდიანათ.

ყველა სამხკორს, პარტკორს თუ ახკორს სრული უფლება აქვს უშუალოდ მიაწოდოს რედაქციას საკუთარი ხელით დაწერილი კორესპონდენცია.

არავის არავითარი ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება არ აქვს რაიმე ცენზურა გაუკეთოს მის წერილს. თითეული მოთავსებულ კორესპონდენციისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ რედაქცია და წერილის ავტორი.

რა საჭიროა ცენზურა, როდესაც არსებობს თვით რედაქცია. ნაწილის პოლიტ და პარტორგანოების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სამხკორთა მოძრაობის ზრდას და რაც შეიძლება მეტი წითელ-არმიელების ჩვენი გაზეთის თანამშრომლობაში ჩაბმას. ამას ისინი მიაღწევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით შეუწყობენ ხელს სამხკორთა მოძრაობას, წაახალისებენ გაზეთში თანამშრომლის მსურველ წითელ-არმიელებს, ხოლო მუდმივათ თანამშრომელ წითელ-არმიელების მუშაობისათვის ამ დარგში შექმნიან სრულიად ნორმალურ პირობებს.

„ცენზურით“ და „კანტროლით“ კი პირიქით ხელს უშლიან სამხკორთა მოძრაობას და მის განვითარებას.

ამიტომაც საჭიროა დაუყონებლივ ბოლო მოეღოს სამხკორთა წერილების ყოველგვარ „ცენზურას“. პარტიულ ორგანოებს მართებს მეტი ყურადღება მიაქციონ სამხკორთა აღმშენებლობას და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ მუშაობას.

სამხკორთა ჯარი ის მტკიცე საფუძველია, რომელზედაც შენდება წითელი სამხედრო პრესა.

რამდენათ მეტი იქნება მათი რიცხვი, იმდენათ ძლიერი იქნება ჩვენი გაზეთი, იმდენათ ახლო იქნება ის ჩვენს წითელ ჯარის ცხოვრებასთან.

## საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წინაამდეგ.

### ვერ შეგვაშინებთ დეზების ქღარუნით.

ბალტიის სახელმწიფოების გენერალურ შტაბების კონფერენცია, როგორც გამოირკვა, მიმართული იქნება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წინაალმდეგ.

კონფერენციის დღის წესრიგში შედის შემდეგი: მთლიანი სამობილიზაციო გეგმის შედგენა იმ შემთხვევისთვის, თუ ადგილი ექნება შეიარაღებულ კონფლიქტს საბჭოთა კავშირთან; სამხედრო კავშირის შექმნა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წინაალმდეგ და საკითხი ამ ორ ქვეყანას შორის ზღუდის შექმნის შესახებ.

# ახალი რადიო-ამბები

## ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის მკვლელობის გარშემო.

### კომინტერნის აღმასკომის მოწოდება.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულმა პლენუმმა მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნების მუშებსა და გლეხებს და ყველა არმიების ჯარისკაცებს ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის მკვლელობის გამო.

მოწოდებაში აღნიშნულია პოლონეთის სოციალისტების საზიზღარი როლი, რომლითაც იმათ ნიადაგი მოუმზადეს თავიანთი გაფთრებული კამპანიით მხეცურ მკვლელობას.

## საგარეო საქმეთა კომისარის ნოტა.

საგარეო საქმეთა კომისარმა გადასცა პოლონეთის დიპლომატიურ მისიას ნოტა პოლონეთის კონსულის მოქმედების შესახებ, რომელიც მფარველობდა პასუხისგებაში მიცემულ პატრ უსსასს. ნოტაში ნათქვამია:—ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პოლონეთის მთავრობა მიიღებს ზომას და გაიწვევს კონსულ კარჩევსკის საბჭოთა საზღვრებიდან.

## პროტესტის დემონსტრაციები.

საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში მიდის პროტესტის დემონსტრაციები პოლონეთის ჟანდარმების მხეცურ მკვლელობის გამო.

## პატრი უსსასი გადასცეს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს.

1-ლ აპრილს, კატეგორიული ნოტის ჩაბარების შემდეგ უსსასის მიცემის შესახებ, კონსული დასთანხმდა გადასცეს პატრი საბჭოთა ხელისუფლებას. პატრი უსსასი წაიყვანეს დანიშნულ საპატიმროში.

## ბაგინსკის მდგომარეობა პოლონეთის ციხეში.

ერთი პოლიტიკური ემიგრანტი, რომელიც იჯდა ციხეში ბაგინსკისთან ერთად, მოგვითხრობს, რომ ბაგინსკი საშინელ პირობებში იმყოფებოდა რავიცკის საკატორღო ციხეში.

საკანს, რომელშიაც ის იჯდა, არას დროს არ ათბობდენ და არ ანათებდენ ღამით.

ბაგინსკის ერთად-ერთი „გასართობი“ იყო 14 გირვანქიანი ბორკილი. კვებავდენ ბაგინსკის დამპალი პროდუქტები.

## შეკითხვები სეიმში.

კომუნისტურმა ფრაქციამ, დამოუკიდებელმა პარტიამ, ბელორუსებმა და უკრაინელებმა შეიტანეს პოლონეთის სეიმში შეკითხვები ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის მკვლელობის გარშემო. შეკითხვა შეიტანეს აგრეთვე პოლონეთის სოციალისტებმა.

დადის ხმები, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი რატაისკი გადადგება.

გაზეთების ცნობით სტოლბცის მამასახლისი გადაყენებულია თანამდებობიდან. ირკვევა, რომ მკვლელი მურაშკო არ შედიოდა მხლებლებში, არამედ ის მოხვდა ვაგონში მამასახლისის პირადი ნებართვით. მურაშკო პოლონეთის „ოხრანკის“ (დამცველი რაზმი) მთავარი აგენტია.

## გამოტყდენ.

ფინეთის საგარეო საქმეთა და ლატვიის სამხედრო საქმეთა სამინისტროები უარყოფდენ გენერალურ შტაბების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის ფაქტს. ეხლა კი როგორც ვხედავთ, ამ ფაქტს აღარ უარყოფენ.

ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად აცხადებს, რომ კონფერენციაზე მონაწილეობენ პოლონეთი, ლატვია, ესტონეთი და ფინეთ—რუმინეთის წარმოადგენლები.

## პარტიზანული მოძრაობა პოლონეთში.

პარტიზანთა რაზმი, რომელიც შემდგარი იყო 30 კაცისაგან თავს დაესხა სადგურ ბალკოვიჩს. პოლიციასთან შეტაკების შემდეგ პარტიზანებმა დაიხიეს ტყეში.

პოლიციამ შეიპყრო 11 კაცი, რომლებიც ყოფილან ლიტვის პარტიზანულ რაზმის მონაწილეები.

## ინგლისის ლოცვა-კურთხევით.

ცანკოვი შეეცადა შეექმნა რუმინეთის, სამხრეთ-სლავიის და ბულგარეთის გაერთიანებით ანტიბოლშევიკური ბლოკი, მაგრამ მის ცდებს წინ გადაეღობა დაბრკოლება ბულგარეთ-სერბიის მხრივ. ეხლა დადის ხმები, რომ ინგლისის გავლენის ქვეშ მზადდება სამხრეთ-სლავია, საბერძნეთ-რუმინეთის ბლოკი.

## ამხ. ამხ. მარხლევსკისა და ვლადიმიროვის ნეშტის გადმოსვენება.

1 აპრილს ბერლინში მოასვენეს ამხ. ამხ. ვლადიმიროვისა და მარხილევსკის ნეშტი.

სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ ვლადიმიროვის ნეშტს წამოასვენებენ მოსკოვში, ხოლო კუბო მარხლევსკის ფერფლით დასაფლავებულ იქნება ბერლინში თანახმად განსვენებულის ქვრივის სურვილისა.

## საბჭოთა დროშა სახალინზე.

დიდძალი ხალხის თანდასწრებით ალექსანდროვსკაში (სახალინი) მყოფ მთავრობის კომისიის შენობაზე აღმართულ იქნა საბჭოთა დროშა.

მისალმებით გამოვიდენ ადგილობრივი ორგანიზაციები.

## ამხ. სადულის საქმე.

1-ლ აპრილის სხდომაზე სწარმოებდა ბრალმდებელთა მიერ წამოყენებულ მოწმეების დაკითხვა.

**მოწმე გენერალ ნისელმა** (საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი მოსკოვში) განაცხადა რომ მას არაფერი შეუძლია სთქვას სადულის დეზერტირობის შესახებ. ის უარყოფს, რომ სადული არ ყოფილა მისიის ოფიციალური მოღვაწე, არამედ ასეთი იყო თვითონ ის, გენერალ ნისელი.

**მოწმე ნულანსი** არ მიდის აშკარად სადულის წინაალმდეგ; ის ცდილობს მხოლოდ, გაარკვიოს, რომ სადული არ თამაშობდა ოფიციალურ როლს.

**მოწმე შაპუი** ბრალს სდებს სადულს იმაში, რომ ის აწარმოებდა პროპაგანდას საფრანგეთის ჯარებში მეთაურთა შემადგენლობის წინაალმდეგ და მიუხედავათ აკრძალვისა, მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ მუშაობაში.

შემდეგ მიდის აზრთა გაცვლა—გამოცვლა. აღსანიშნავია რომ ყველა მოწმეები, გარდა შაპუისა სცნობენ სადულის გულწრფელობას და მისი მუშაობის სარგებლიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრუსიის ახალი მინისტრ-პრეზიდენტი.

პრუსიის ლანდტაგში შესდგა ახალი მინისტრ—პრეზიდენტის არჩევნები. ყველა ელოდა რომ რესპუბლიკანური პარტიები წამოაყენებდენ ბრაუნის კანდიდატურას იმის საკომპენსაციოდ, რომ სოციალ—დემოკრატია მოხსნილა მარქსის სასარგებლოდ ბრაუნის კანდიდატურას პრეზიდენტის არჩევნების ხელახალი კენჭის ყრის დროს. მაგრამ მთავრობის კოალიციის პარტიებმა წამოაყენეს კანდიდატურა დემოკრატ-გეპკერ-აშოფისა, რომელიც არჩეულ იქნა 213 ხმით 177-ის წინააღმდეგ.

## ჰუნგრელი ამხანაგები მოსკოვში.

1 აპრილს ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა 34 ჰუნგრელი პოლიტიკური პატიმარი თავისი ოჯახებით. ეს პირები ჰუნგრეთის მთავრობამ გაუცვალა პატიმრებში საბჭოთა კავშირის მთავრობას.

## მოტორიანი ნავის დაღუპვა.

ბათუმის ნავთსადგურიდგან გამოსვლის დროს, ბალის ახლო, დღისით, გადაბრუნდა მოტორიან—იალქნიანი ნავი „პიონერი“ რომელიც მიდიოდა სარფში და მიქონდა მოსაზღვრე რაზმისათვის სურსათ-სანოვაგე. საშველად გავიდა კატერი „წითელი ბათუმი“, რომელმაც 12 კაციდან გადაარჩინა მხოლოდ სამი—კომანდირი და ორი წითელი არმიელი. დანარჩენი დაიღუპნენ სწარმოებს გამოძიება.

## ინგლისი და საბჭოთა კავშირი.

ინგლისის თემთა პალატის სხდომაზე შეტანილ იქნა შეკითხვები საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ.

მუშათა პარტიის წევრმა ვეჯვუდმა ჰკითხა ჩემბერლენს, განაცხადა თუ არა ინგლისის მთავრობამ საბჭოთა მთავრობის რაიმე საჩივარი პროპაგანდის წარმოების შესახებ.

ჩემბერლენმა განაცხადა:

„არა, ჩვენ არაფერი არ გაგვიცხადებია ამ საკითხის შესახებ საბჭოთა მთავრობისთვის“.

დეპუტატი ტეილორი შეეკითხა, მიღებულია თუ არა უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირიდან ანგარიში საბჭოთა კავშირში არსებულ სასოფლო—სამეურნეო იარაღების მოთხოვნილების შესახებ.

მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უკანასკნელ დროს არავითარი ანგარიში არ მიუღიათ.

მუშათა პარტიის დეპუტატმა მაკ ლინდერმა შეიტანა შეკითხვა, იცის თუ არა მთავრობამ, რომ საბჭოთა კავშირმა დაუკვეთა ამერიკას 2 მილიონი დოლარის სასოფლო—სამეურნეო იარაღი. ამ შეკითხვაზე არავითარი პასუხი არ გაუციათ.

დეპუტატი ტეილორი შეეკითხა, როდის ჰფიქრობს მთავრობა საკონსულოების აღდგენას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

მთავრობის წარმომადგენელმა სამიუილმა უპასუხა, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ითქვას, როდის მოხდება კონსულების დანიშვნა.

## ამერიკის ბურჟუაზიას აწვალებს ჩვენი ცნობის საკითხი.

საბჭოთა კავშირის ცნობის მოწინააღმდეგე ამერიკის საზოგადოებრივ წრეებში დიდი განგაში გამოიწვია ხმებმა ნომავალ მოლაპარაკების შესახებ ჩვენსა და ამერიკას შორის. ჩვენი მტრების ბანაკში გაცხარებული აგიტაცია სწარმოებს.

კორესპონდენტები იუწყებიან, რომ კულიჯი სრულიად უარს ამბობს საბჭოთა კავშირის ცნობაზე იმ დროს, როცა თეთრი სახლი (პრეზიდენტის სასახლე) უარს ამბობს მხოლოდ ამ ჟამად რაიმე საკითხის გარჩევაზე საბჭოთა კავშირის შესახებ.

## უჯრედების მდივანთა და აგიტ-პროპ-მომუშავეთა თათბირი.

### მოხსენებები აგიტ პროპმუშაობის შესახებ.

31 მარტის სხდომაზე აგიტ-პროპ-მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდა 10 ამხანაგი.

**აბდულოვი.** (არტდივიზიის პირველი ლეგიონი). პოლიტიკური და სასკოლო მეცადინეობა სწარმოებს 35 ჯგუფში, რომელთაგანაც 25 წ. კ. უცოდინართათვის არის და 5-მცირე მცოდნეთათვის. მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ არ მოიპოება სახელმძღვანელოები თურქულ ენაზე. არ გვყოფნის სამეცადინო შენობა. გუნდებში 1-ლი ჯგუფი მეცადინეობს ლენინის კუთხეში, დანარჩენი 2—ნარებზე.

ლეგიონში არის 1-ლი და მეორე საფეხურის პოლიტსკოლა.

მუშაობაში ჩაბმულია ყველა პარტიულები და კომკავშირელთაგან—15 პროც. პარტბიურო კარგად ხელმძღვანელობს მუშაობას. ლეგიონში არის 11 ლენინის კუთხე, რომელთაც განაგებენ პარტიულები და კომკავშირელები. ხელს გვიშლის ეროვნულ ლიტერატურის უქონლობა. ბიბლიოთეკების შევსება ძნელდება კიდევ იმით, რომ თურქული წიგნები იბეჭდება ორნაირ ანბანით: ლათინურით და არაბულით.

**დრონოვი.** (1-ლი დივიზიის მე-3 ე ქუთაისის ლეგიონი). 25 ჯგუფში (32-დან) პოლიტიკური და სასკოლო მეცადინეობა სწარმოებს ერთი და იმავე პირების მიერ. ჯგუფში ირიცხება 15-დან 35 კაცამდი. მეცადინეობაში მიზიდულია მეთაურთა შემადგენლობის საგრძნობი ნაწილი. პარტგანათლება სწარმოებს 4 ჯგუფში.

ლენინის კლუბებს განაგებენ განვითარებული წითელ-არმიელები. პოლიტხელები მუშაობით დატვირთვის გამო ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას მუშაობის ხელმძღვანელობას. ცნობათა მაგიდა მასალების უქონლობის გამო სუსტად მუშაობდა.

საკლუბო წრეებში ჩაბმულია 130 კაცი. კლუბში სწარმოებს როგორც საწრეო, ისე მასიური მუშაობა. კედლის გაზეთები გამოდიან თვეში ერთხელ, ლეგიონის გაზეთი—თვეში ორხელ.

**ოკუჯავა.** (ქართული დივიზიის მე-3-ე ლეგიონი.) როგორც ყველა ეროვნულ ნაწილებში, არ გვყოფნის ლიტერატურა სამშობლო ენაზე. მეცადინეობის მეთოდებში შემჩნეულია სხვადასხვაობა. საქმეს აბრკოლებს აგრეთვე პროგრამის შეუფარდებლობა არსებულ ლიტერატურასთან. ლეგიონის ფარგლებში გამოდის ერთი კედლის გაზეთი, გუნდის ფარგლებში—2.

**შნირკევიჩი.** (მე-7-ე ლორის ლეგიონი). ლეგიონში არის სულ 35 ჯგუფი სასკოლო და პოლიტმეცადინეობისათვის. სამოსწავლო სახელმძღვანელოები და ნივთები ცოტაა.

ლენინის კუთხეების მუშაობას ხელმძღვანელობენ პრეზიდიუმები. ლენინის კუთხეებში შესატანია მხოლოდ ორი განყოფილება: პოლიტიკური და სამხედრო.

**კორობოვი.** (მეორე დივიზიის მე-4-ე მსროლელთა ლეგიონი). ჯგუფების შედგენა გვიხდება შემოდგომასა და გაზაფხულზე გამოწვეულ წითელარმიელთაგან; ამიტომ ჯგუფებში შემჩნეულია ცოდნის განსხვავება ცალკე წითელ არმიელთა შორის.

არის მეორე საფეხურის პოლიტსკოლა. შენობის უქონლობის გამო ლეგიონში არის ათასეულის მხატვის ლენინის კუთხე. არის ლიტერატურის სიმცირე.

**ბელუჯევი.** (სომხეთის დივიზიის არტლეგიონი). მუშაობას ხელს უშლის ლეგიონის სხვა და სხვა ადგილას ბინადრობა. მუშაობის ხელმძღვანელობა კომისარისა და პარტბიუროს მხრივ სუსტია. პროგრამა ვერ აკმაყოფილებს ნაწილებს, ვინაიდან არ არის საჭირო სახელმძღვანელოები. მოწყობილია ახწრეები. ლენინის წრეებში კვირაში ერთხელ სწარმოებს საუბარი პარტიულ თემებზე. გამოდის ყოველკვირეული კედლის გაზეთი. ბიბლიოთეკაში ცოტაა სომხური წიგნები.

**ლომაძე.** (მეორე ქართულ დივიზიის მე-4-ე ლეგიონი). პოლიტხელები ცოტა გვყავს. არის ორი პოლიტხელი, რომლებიც მეტა დატვირთული არიან მუშაობით. გვყავს შეფობის ქვეშ სოფელი, რომელსაც ვუგზავნით გაზეთებს. ლეგიონში სულ არის 10 წ. კ. უცოდინარი და 20-მცირედ მცოდნე.

**რემპელი.** (მე-64-ე ცხენოსანი ლეგიონი). მეცადინეობა სწარმოებს ჯგუფური; არის სულ 15 ჯგუფი. ანკეტის წარმოებამ დაგვეხმარა სწორი პოლიტსამეცადინეო ხაზის აღებაში. წითელარმიელებში იღვიძებს აქტიურობა. ნაკლებად გვაქვს თვალსაჩინო ხელსაწყო-სახელმძღვანელოები.

**ავდეევიჩი.** (მეორე საკავშირო ათასეული). ლენინის კუთხეებს ხელმძღვანელობენ პოლიტხელები. დიდ ინტერესს იჩენენ წითელ-არმიელები საერთო განათლების საგნებში. ლენინის კუთხეებში გამოყოფილია წითელ არმიელთა აქტივი, რომელიც შეადგენს ცენტრალურ წრეს. პოლიტმეცადინეობა სწარმოებს ჯგუფურად, მაგრამ არა კომპლექსიური მეთოდით. „კრ. ვ.“

## რევოლიუციონური ჩინეთი და სუნ-იატ-სენი.

(დასასრული)

### სუნ-იატ-სენის მოღვაწეობის პირველი ხანა.

რამდენათ ფეხს იკიდებდენ ჩინეთში იმპერიალისტები, რამდენათ ისინი იმორჩილებდენ ჩინეთის ხალხს, იმდენათ ამ დამორჩილებას წინააღმდეგობას უწევდა ჩინეთის მასები. იმ ბრძოლებში, რომელსაც თავიდანვე აწარმოებდა ჩინეთის ხალხი აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიალისტების წინააღმდეგ მათ ბევრი ხელმძღვანელი ყავდათ. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი და შეუდრეკელი ბელადი გახდა სუნ-იატ-სენი, რომელიც დაიბადა სამხრეთ ჩინეთში 1859 წ. ის პირველათ სწავლობდა ინგლისელების სკოლაში, შემდეგ უმაღლესი სწავლა მიიღო და ექიმი გახდა, მაგრამ მან ექიმობას თავი მიანება და შეუდგა საზოგადოებრივ და რევოლიუციონურ მოღვაწეობას.

ის პირველ ხანებში ფიქრობდა, რომ სხვადასხვა დიპლომატიურ მოლაპარაკებით შეიძლება ჩინეთის ხალხის აღდგენა, ჩინეთის განთავისუფლება, მაგრამ მალე ის გამოცდილებამ დაარწმუნა სულ წინააღმდეგში. შემდეგ ის გადადის ბრძოლის სულ სხვა მეთოდზე. მისი აზრით საკმარისია, რომ მოუყაროს თავი საუკეთესო რევოლიუციონერებს, მოაწყოს სამხედრო ორგანიზაცია და მათი საშვალებით მოახდინოს აჯანყება—სახელმწიფოებრივი გადატრიალება; ძირს ჩამოაგდოს ჩინეთის მონარქიული მთავრობა, რომელმაც გაჰყიდა ჩინეთის ხალხის თავისუფლება, რომელიც შეურიგდა ჩინეთის ხალხის დამონავებას, და ამის შემდეგ განდევნოს ჩინეთიდან ყველა ჯურის იმპერიალისტები.

ეს დაუღალავი ადამიანი, ამ მიზნით, ჩინეთ-იაპონიის ომის დროს აწყობს მალულ საზოგადოებას „ჩინეთის აღდგენისას.“

სუნ-იატ-სენი და მისი ამხანაგები ეწევიან ფართო აგიტაცია-პროპაგანდას ჩინეთის ჯარში, იძენენ იარაღს და ემზადებიან გადამწყვეტი ბრძოლისათვის, აწყობენ შეთქმულებას. მაგრამ სანამ შეთქმულება საქმეთ იქცეოდა მონარქიული მთავრობის აგენტები საზოგადოების ყველა საიდუმლოებას იგებენ. შეთქმულთ, გარდა სუნ-იატ-სენისა, ყველას იჭერენ და ხვრეტენ. სუნ-იატ-სენი კვლავ მიდის ემიგრაციაში და იქ ეწევა დაუცხრომელ მუშაობას, იგი მოგზაურობს ინგლის-ამერიკაში და მთელ ევროპაში. ყველგან აწყობს ჩინეთის ემიგრანტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის შორის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს ჩინეთის ხალხის განთავისუფლების მიზნით. განსაკუთრებული გამოძახილი პოვა სუნ-იატ-სენის პროპაგანდამ სტუდენტობაში და სამხედრო ახალგაზრდობაში.

### 1911 წლის ჩინეთის რევოლიუცია და მისი დამარცხების მიზეზები.

როგორც საზღვარ გარეთ, ისე ჩინეთში, სუნ-იატ-სენი ხდება მედროშეთ—ხელმძღვანელად, ჩინეთის ხალხისა! თანაგრძნობა სუნ-იატ-სენის იდეებისადმი და ზრახვებისადმი ზღაპრულად იზრდება.

1911 წელს ჩინეთში—უხანგში იწყება რევოლიუცია. მიზეზები ამისა იყო, ერთის მხრივ, სუნ-იატ-სენის თავგანწირული მუშაობა, მეორეს მხრივ, შიმშილი, ეკონომიური დაკნინება ჩინეთის ხალხის, რომელიც წინ უძღოდა 1911 წ. ამ დროს სუნიატსენი ამერიკაში იყო. ის მოისწრაფის ჩინეთში. მოსვლისას მას ირჩევენ პრეზიდენტად და ჩინეთში გამოცხადებული იქნა რესპუბლიკა ქალაქ ნანკინში. მაგრამ რევოლიუციამ დიდ ხანს არ გასტანა და სუნ-იატ-სენი დამარცხდა. მიზეზი?

**რევოლიუცია** მოახდინა სამხედრო ორგანიზაციამ და ვიწრო ჯგუფმა ინტელიგენციისამ. ფართო მასებს, მუშებისა და გლეხების, მასაში მონაწილეობა არ მიუღია და შეუგნებლობის გამო ვერ დაუჭირა მას მხარი. ამ დროს კი ჩინეთში შიმშილობასა და ეკონომიურ დაქვეითებას აქვს ადგილი. უცხოეთის სახელმწიფოებს, რასაკვირველია, არ სურთ, რომ რევოლიუციონურ ჩინეთს სესხის სახით დახმარება გაუწიონ.

ჩინეთის არისტოკრატია, ჩინოვნიკობა, ძველი გენერლობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩამოაგდონ სუნ-იატ-სენის მთავრობა და რევოლიუციას მახვილი ჩასცენ გულში. ეს ასეც მოხდა. სუნ-იატ-სენის ადგილი დაიკავა 1915 წელს რეაქციონურმა გენერალმა იუნ-ში-კაიმ, რომელმაც მოლაპარაკება გამართა ევროპის იმპერიალისტებთან, და ჩინეთის ხალხის ინტერესები გაჰყიდა და მით მოიგო გული დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებისა. მას მისცეს სესხი—იუდასებური და ხმარება

### სუნ-იატ-სენი და „გომინდანი“.

სუნ-იატ-სენი აარსებს მასიურ პარტიას „გომინდანს“, რომელიც მიზნათ ისახავს ჩინეთის სახალხო რევოლიუციას, იმპერიალისტების განდევნას ჩინეთიდან, ჩინეთის გაერთიანებას ცენტრალურ მთავრობის შექმნით, ერთა თვით გამორკვევას და სოციალიზმის დამყარებას რამდენად ამას ხელს უწყობს ჩინეთის სოციალურ-ეკონომიური პირობები.

პროგრამა, რომელიც გასულ წელს (1924 წ.) მიიღო გომინდანის პარტიამ, შედგენილია რუსეთის კომუნისტური პარტიის დიდი ზეგავლენით.

დღეს ჩინეთში 5 მილიონი მუშათა კლასია. რამდენათაც ჩინეთში ფეხს იკიდებს ნაციონალური კაპიტალი, იმდენათ უფრო ღვივდება ჩინეთში კლასთა ბრძოლა. მხოლოდ ჩინეთის პროლეტარიატსა და გლეხკაცებს შეუძლიათ განდევნონ ინგლისს—ამერიკა—საფრანგეთ—იაპონიის იმპერიალისტები.

სუნ-იატ-სენის პარტიის, გომინდანის, გარდა ჩინეთში არსებობს ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც სრულებით მხარს უჭერს მას იმპერიალიზმის და საკუთარ მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. რამდენათ დრო მიდის, იმდენათ კლასთა ბრძოლა ჩინეთში ღვივდება.

შარშან (1924 წ.) დასავლეთ ევროპის კაპიტალის წარმომადგენელმა, ჩინეთის ჟანდარმერიამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ჩინეთის მუშათა კლასს, კომუნისტურ პარტიას და ფიზიკურად გაანადგურეს მუშათა კლასის საუკეთესო ხელმძღვანელები.

ეს საშინელი თეთრი ტერორი დღესაც გრძელდება, ვინაიდან ჩინეთის ბურჟუაზიამ და არისტოკრატიამ კარგათ იცის რომ, პროლეტარიატის დარაზმით მას ბოლო ეღება. მით უმეტეს მას შემდეგ რაც, სამხრეთ ჩინეთში გაბატონდა სუნ-იატ-სენი-გომინდანის პარტია, რომლის გავლენა თანდათან იზრდება და ლამობს მოედვას დანარჩენ ჩინეთს.

აი ამ დროს, როდესაც დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა მოუკვდა ჩინეთის მუშასა და გლეხებს საყვარელი ბელადი სუნ-იატ-სენი. იგი გარდაიცვალა ქალაქ პეკინში 59 წლისა. პეკინსა და იმ ქალაქებში, სადაც მოგზაურობდა ამ უკანასკნელ დროს სუნ-იატ-სენი, განსაკუთრებით ტიან-ცზინში ხალხი, მას დიდი აღტაცებით ხვდებოდა; მასში ხედავდენ ჩინეთის ხალხის განმანთავისუფლებელს, ჩინეთის რევოლიუციის ბელადს.

დიდი ჩინეთის უდიდესი ადამიანი, სუნ-იატ-სენი, ისე, როგორც მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის ამხ. ლენინის სახელი უკვდავია.

საბჭოთა რესპუბლიკების და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების ერთ ბრძოლაში ჩაბმა, ერთ ტალღათ ქცევა, აუცილებელი და უდავო ძალაა, რომელიც საუკუნოთ დაასამარებს მსოფლიო კაპიტალს.

ამის თავდებია ლენინის კომუნისტური ინტერნაციონალი და სუნ-იატ-სენის პარტია—გომინდანი.

ამის თავდებია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი და რევოლიუციონური აღმოსავლეთი.

**არტემ კვირიკაძე.**

# პარტიული ცხოვრება.

## კიდევ პარტ-საქმეების შედგენის შესახებ.

პარტ-საქმეების შედგენის შესახებ არის განსაკუთრებული დებულებები. მასთან გაზეთებშიც კი იყო მოთავსებული წერილი, სადაც აღნიშნული იყო ზოგიერთი ნაკლი პარტ-საქმეების შედგენის საქმეში.

როგორც სჩანს ზოგიერთი ნაწილების პარტ-ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პირად საქმეების მოწესრიგებას, რაც ძალიან ართულებს მუშაობის მსვლელობას. აქ მოკლეთ შევეხები ზოგიერთ დეფექტებს. პირველი ის რომ, როდესაც კომკავშირის წევრი გადადის პარტიის კანდიდატათ მისი პირადი საქმე (ანკეტა და სხვა) ისე უნდა შედგეს, როგორც საერთო წესით შემომსვლელის. მეორე, რეკომენდაციები უსათუოდ უნდა იყოს შემოწმებული იმ ორგანიზაციიდგან, რომელ ორგანიზაციაშიც ირიცხება რეკომენდაციის მიმცემი. ამავე დროს საკანდიდატო ანკეტის ის ადგილი, სადაც იწერება რეკომენდატორების სახელი და გვარი, უნდა იქნეს შემოწმებული სათანადო ორგანიზაციის მიერ. როდესაც გაზეთებში ცხადდება ამა თუ იმ პირის პარტიაში შემოსვლის შესახებ, არც ეს ადგილი ივსება წერილობით და უმთავრესი კი ავტო ბიოგრაფიის სინამდვილის დადასტურება სათანადო ორგანიზაციების მიერ. ამის გარდა, კანდიდატათ დამტკიცებულის პირადი საქმეები უყდოთ ინახება და შიგ არეულია სხვა და სხვა შინაარსის ქაღალდები. ეს აღნიშნული ნაკლი უსათუოთ უნდა გამოასწორონ ადგილობრივ ორგანიზაციებმა და შემდეგში პარტკომისიას არ უნდა გამოუგზავნოს უთავბოლოთ შედგენილი საქმეები.

აგრეთვე საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ეხება პარტიის წევრათ დამტკიცებას. აქაც ხშირად გაუგებრობას აქვს ადგილი. თანახმად დებულებისა, როდესაც საკანდიდატო სტაჟი უსრულდება და გადადის წევრათ, ამ დროს ანკეტა და ავტობიოგრაფია რჩება ძველი, მხოლოთ იცვლება რეკომენდაციები, რომელიც ახალი რეკომენდაციებით უნდა შეიცვალოს. ამ დროსაც პარტორგანოები ნაკლებათ აქცევენ ყურადღებას ამ გარამოებას და არღვევენ პარტკომისიის საერთო დებულებას. ამ არა სასურველ მოვლენას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო და საქმეები ისე იქნეს შემდგარი, როგორც წესი და რიგია, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი უწესრიგოთ შემდგარი საქმეები არ ჩაითვლება გარჩეულათ. ამას გარდა კიდევ მინდა აქვე ავღნიშნო ერთი დეფექტი, რომელიც შეეხება ბიურო-კოლექტივებს და საერთოდ პარტ-აღმშენებლობას. სახელდობრ ის, რომ ყველა პირად საქმეში არის ჩაკერებული ანკეტა—ფორმა № 6 (სულ რვა კითხვა) სადაც უნდა ინიშნებოდეს თუ რა სამუშაოს ასრულებდა, განსაკუთრებული დავალების ასრულება და სხვა. ამ ანკეტაში ვერაფერს ვერ ნახავთ გარდა პირველი თავისა, სადაც არის აღნიშნული სამუშაოს ასრულება. დანარჩენი კითხვები სრულიად უყურადღებოთ არის დატოვებული და ბევრიც რომ გინდოდეს გაიგო თუ რას აკეთებდა და გააკეთა პარტიის წევრმა ვერ გაიგებ ვერაფერს. ეს ფორმა ექვსის კითხვის შევსებით სრული წარმოდგენას უნდა იძლეოდეს პარტიის წევრის უარყოფით და დადებით მხარეების შესახებ.

აღნიშნული ნაკლი გამოირკვა უჯრედების გამსინჯველ კომისიის მუშაობის დროს და ამიტომ მოვაგონებ პარტ-ორგანიზაციებს რათა დროზე გამოასწორონ აღნიშნული ნაკლი.

ს. ლომიძე.

## სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედის ცხოვრებიდან.

კვირას, 29 მარტს, შესდგა კომუჯრედის მორიგი კრება.

დღის წესრიგში იდგა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი:

ახლად არჩეული ბიუროს მუშაობის გეგმის განხილვა და დამტკიცება.

გეგმა ფართოდ არის შემდგარი. მუშაობის ყოველივე მხარეს: პარტიულს, პოლიტსაგანმანათლებლოს სკოლის გარეშე განათლებას, და სხვას მიქცეული აქვს საჭირო ყურადღება. გეგმაში წითელი ზოლივით არის გატარებული კომუჯრედის წევრების ჩაბმა ფართე პარტპოლიტმუშაობაში, რომ არც ერთი წევრი არ დარჩეს მუშაობის გარეშე და გამოიჩინოს ენერგია ინიციატივა და ენერგია. ამასთანავე მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული მჭიდრო კავშირს მუშათა ორგანიზაციებთან, ექსკურსიების და საღამოების გამართვას მუშათა რაიონებში. არ არის დატოვებული უყურადღებოთ არც სოფლად მუშაობა.

დარწმუნებული ვართ, რომ უჯრედის თითეული წევრი ენერგიულად მოჰკიდებს ხელს მუშაობას და ბიუროს მიერ დასახული მიზნები მცირე დროში იქნებიან მიღწეული.

პარტკორი ე. ხუციშვილი.




## თბილისში მდგომ ნაწილების საყურადღებოთ.

### 1-ლ აპრილიდან გაზეთები მოიკითხეთ „წითელ არმიელი“-ს რედაქციაში.

## მისალმების დეპეშა.

გურიის ცვალებად შემადგენლობის კონფერენციისაგან პოლიტგანყოფილების სახელზე მოვიდა შემდეგი მისალმების დეპეშა:

„ცვალებად შემადგენლობის გურიის სამაზრო კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ და აღგითქვამს, რომ მუდამ მზათ ვიქნებით ოქტომბრის დასაცავად.“

კონფერენციის დავალებით სურგულაძე

## მოგვაწოდეთ ახალი გამოცემები.

პირველ საარტილერიო ლეგიონის სამკითხველო კარგათ არის მოწყობილი. მოგვეპოება საკმაოდ საჭირო ლიტერატურაც. მკითხველები ბევრი ყავს ბიბლიოთეკას, განსაკუთრებით წითელ-არმიელთა შემადგენლობიდან. თავისუფალ დროს ყველა იქეთკენ მიეშურება, მოაქვთ წიგნები ყაზარმაში და გულმოდგინეთ კითხულობენ და ერთმანეთს უზიარებენ საინტერესო და ახალ აზრებს.

ამ მხრივ ყველაფერი კარგად არის მაგრამ, საჭიროა ჩვენმა ბიბგამგემ იზრუნოს ახალ გამოცემების შეძენისათვის. ჩვენი ბიბლიოთეკა ძლიერ გვიან ღებულობს ახალ გამოცემებს.

კარგი იქნება ბიბგამგე წინასწარ ღებულობდეს საჭირო ზომებს, რომ თავის დროზე მოგვდიოდეს წიგნები.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## მოუარეთ წიგნებს.

3-მე ლეგიონის ბიბლიოთეკაში პირველად არ მოიპოვებოდა საჭირო წიგნები და ამის გამო ლეგიონის შემადგენლობა იძულებული იყო საჭირო წიგნები სხვაგან ეძებნა. დღეს ეს დიდი დაბრკოლება გადალახული იქნა.

ჯერ-ჯერობით გვაქვს სხვა და სხვა საინტერესო შინაარსის 3.500 წიგნამდე. მკითხველთა რიცხვიც გამრავლდა. ბიბლიოთეკას, თავის წიგნების ნაწილი გადატანილი აქვს ათასეულში, ზოგიც—ასეულშივე, რაც საშვალებას აძლევს წითელ არმიელებს ადვილად მოიხმარონ ეს წიგნები.

საერთოდ წიგნების წარმოება ჩვენს ლეგიონში და მისი განაწილება კარგად არის მოგვარებული. მხოლოდ აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს, რომელზედაც არა ერთხელ ყოფილა ჩატარებული ბაასი. თუ როგორ უნდა ექცეოდეს მკითხველი წიგნს.

საუბედუროთ ყველას ვერ შეუგნია ეს ჩვენთან და წიგნს სასტიკ დღეს აყენებს.

ზოგიერთი მკითხველი წაღებულ წიგნს არ აბრუნებს თავის დანიშნულ დროზე ტყვილა უდევს სახლში, არც თვითონ იხმარს და არც სხვა აქვს საშვალება მოიხმაროს ის. ამის ჩამდენი თავის თავის მტერია და სხვისი მოღალატეც.

მეორე ვინაიდან წიგნი უფასოთ გვეძლევა წასაკითხავად ის არ ენაღვლებათ—მიიღებენ თუ არა რომელიმე წიგნს გაკეცავენ შუაზე და ჩაიდებენ ჯიბეში ან ფარაჯის სახელოში და შემდეგ ის დახეულ და გაოხრებულ წიგნს აბარებს ბიბგამგეს.

მესამე. ზოგიერთებს უყვართ წიგნებზე რამის დაწერა, ეს კი სრულებით დაუშვებელია. ეს მარტო წითელ არმიელებს კი არ ეხებათ, არამედ ჩვენს უფროს-პოლიტ შემადგენლობასაც, რადგან ისინი მარჯვეთ არიან ასეთი საქციელის ჩადენაში. საჭიროა წიგნს გაუფრთხილდეთ სირცხვილიც კია წიგნის მოვლა არ ვიცოდეთ. თუ ეს გამოსწორდება მაშინ ჩვენი ბიბლიოთეკაც უფრო კარგი იქნება.

პარტკორი ტატიანელი.

## 3-მე ლეგიონის ცხოვრებიდან.

### პოლიტსაგანმანათლებლო საქმიანობა.

ლეგიონში სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა.

მთელი შემადგენლობა ერთგულად ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას. აქამდე ლეგიონში ადგილი არ ჰქონია უთანხმოებას შემადგენლობის შორის.

ლეგიონის მეთაურთა უმრავლესობა პარტ-პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში არის ჩაბმული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მაინც, დიდი გარდატეხა მოხდა უპარტიო მეთაურთა შემადგენლობაში. ისინი ჩაებენ პოლიტიკურად განვითარების საქმეში, ისმენენ პოლიტიკური ხასიათის მოხსენებებს და თითონაც აკეთებენ სხვა და სხვა პოლიტიკურ თემებზე. უპარტიო მეთაურებში თანდათან იზრდება პარტიაში შესვლის მსურველთა რიცხვი, რასაც სათანადო ანგარიში ეწევა. მეთაურთა უმეტესი ნაწილი გათვითცნობიერებული არიან პოლიტიკურად. თუ წინეთ ამხანაგებს ნაკლებად აინტერესებდათ პოლიტცოდნა, დღეს პირიქით, ყველა დიდი მონდომებით ეკიდებიან მის შესწავლას. პოლიტიკური მომზადებით საკმაოდ ღონიერია ლეგიონის შემადგენლობა.

სამხკორი მორიელი.

## მოსკეთ ნაკლოულევანებანი. სადილი უნდა გაგვიუმჯობესონ.

6-სე ლეგიონის 3-მე ათასეულს ეს რამოდენიმე ხანია, რაც ცუდი სადილები ეძლევა. არ ვიცით ვისი ბრალია, სამზარეულოში ვერ ამზადებენ კარგად, თუ სანოვაგე გვეძლევა ცუდი ხარისხის. ყოველ შემთხვევაში თვითონ ლეგიონში კარგი სადილები მზადდება და ჩვენ რა დავაშავეთ?

საჭიროა ლეგიონის მნემ მოგვაქციოს ყურადღება.

მოგვეცით ისეთი სადილები, როგორიც ლეგიონში კეთდება სხვას ჩვენ არ ვთხოულობთ.

გაგვიუმჯობესეთ სადილი.

წით. არმ. პ. გელაზონია.

## ექსკურსია ქ. ბათომის მუზეუმში.

დღეს ჩვენი დასვენების დღეა. 12 საათის შემდეგ შესწყდა ყოველგვარი მეცადინეობა. მოვათავეთ საუბრები პოლიტსაათებზე, გათავდა სასკოლო მეცადინეობა, სწრაფად დავასუფთავეთ ჩვენი თანამგზავრი და ამხანაგი შაშხანა თოფი და ლამაზად ჩამოვამწკრივეთ პირამიდებზე. ყველაფერი რიგზე გვაქვს.

თავისუფალი დროც საკმაო მოიპოება ჩვენს განკარგულებაში, მაგრამ ტყვილა ვერ გავჩერდებით. ჩვენი მიზანია: თვითეული თავისუფალი წუთი თვითგანვითარებისა და განათლებისათვის.

ჩვენი შეფის—ბათომის კომუნალური მეურნეობის კომუჯრედის ნაბიჯს სიამოვნებით შეეგებენ ჩვენი წითელ არმიელები. მისი ხელმძღვანელობით გავემგზავრეთ ქალაქის მუზეუმის დასათვალიერებლად.

პირველ საათზე მთელი ასეული მწყობრულად, მუსიკით გაემართა ქალაქისაკენ. ორ საათზე უკვე მუზეუმში ვიყავით. არმიელები დიდი გულმოდგინებით და დაკვირვებით ათვალიერებდენ მუზეუმს, რომლის გამგე გვაძლევდა ყოველგვარ განმარტებას.

ვნახეთ ყველაფერი: კავი, ნავი, გუთანი, ფარცხი, ურემი კოხტად გაკეთებული და მოგვაგონდა სოფელი, ჩვენი მუშაობა.

დათვალიერებული იქნა ყველა საინტერესო და ცხოვრებაში გამოსადეგი საგნები. შემდეგ ვინახულეთ კომუნალურ მეურნეობის ბაღი, სადაც დიდ თოვლს ძლიერ დაუზიანებია ტროპიკული მცენარეები.

ექსკურსია მეტად საინტერესო გამოდგა. წითელ არმიელებმაც ბევრი რამ შეიძინეს ამ დათვალიერებით, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია კომუნალურ მეურნეობის კომუჯრედი.

სამხკორი გუჯუ.

## მოგვაწოდეთ მასალები.

ჩვენი ორგანოები ძლიერ ზრუნავენ პოლიტ-საათისათვის, სახელმძღვანელო მასალების მოწოდებაზე, მაგრამ ეს მაინც ვერ გვაკმაყოფილებს. რა არის მიზეზი? ის რომ მოწოდებულ სახელმძღვანელოების უმეტესი ნაწილი რუსულია, რომლის, ბევრს არაფერი გაეგება.

ეს კი ხელს უშლის პოლიტ-საათს სათანადოთ გადაცემას წითელ არმიელებზე.

რუსულის უცოდინარობის და მისი გაუგებრობის გამო, ხშირათ მახინჯდება ეს თუ ის თემა.

პოლიტ-ხელმძღვანელებს და ზოგიერთ მეთაურებს რუსული კარგათ არა გვაქვთ შეთვისებული, რის გამო წითელ-არმიელებთან საუბრის ჩატარება მძრალად და ცივად სწარმოებს.

ეს კიდევ ცოტაა. კიდევაც, რომ პოლიტ-ხელი მომზადებული იყოს რუსულათ, კიდევაც რომ შესძლოს მან სახელმძღვანელოს წაკითხვა და გაგება, ეს მაინც არ იქნება საკმარისი, რადგან პოლიტ-საათს ვატარებთ კონპლექსიურ მეთოდით და მაშინ ეს კომპლექსი ირღვევა და ვერ ტარდება ისე როგორც საჭიროა.

საჭიროა სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, რომ ადვილად შევსძლოთ მათი მოხმარება და გამოყენება.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ რომ წითელ ჯარში უმთავრესათ საჭიროა ვიცოდეთ სამოქალაქო ომისა და წითელი-ჯარის ისტორია. ის აუცილებლად მოითხოვს, როგორც უფ-პოლიტ. შემადგენლობისგან ისე წითელ არმიელისაგან, საფუძვლიანად შესწავლას მომავალ ბრძოლებში გამოსაყენებლად (თუ ეს საჭირო იქნება). ამ გამოცდილებით სავსე მასალები ქართულ ენაზე სრულიად არ მოგვეპოება.

ჩვენს ხელით არის რუსული წიგნი სამხედრო რედაქციის „წითელი ვარსკვლავის“ გამოცემა (История красной армий и гражданской войны“ А. Кароль-ის), მაგრამ მას ვერაფერი გაუგეთ. სასურველია როგორც 1-ლი დივიზიის ისე 2-რე დივიზიის პოლიტ-განყოფილებები მიაქცევდენ ყურადღებას ამ წიგნს და გადაგვითარგმნონ ქართულად.

ს. იმნაიშვილი.

# ადგილობრივი ხელისუფლება გვეხმარება.

**წვევამდელთა შორის.**

ქალ. ბორჯომში, ბრძანების თანახმად გახსნილი იქნა წვევამდელთა მოსამზადებელი წერტი, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევს.

სამხედრო—წერტის ხელმძღვანელ-მასწავლებლები უზრუნველყოფილი არიან მატერიალურად, წვევამდელები კი კულტურულად.

ასეთი ყურადღებით, იმედია სულ მოკლე ხანში შევსძლებთ წითელი ჯარის რიგებისათვის სათანადოთ მომზადებული ახალგაზრდობის გამოშვებას. მეცადინეობა წერტზე ინტენსიურად მიმდინარეობს. ახალგაზრდობა გულმოდგინეთ ესწრება მეცადინეობას.

კარგი იქნება ბორჯომის რევკომს წაბაძავდენ სხვებიც და თავის წვლილს შეიტანდენ წითელი ჯარის სამხედრო მომზადების საქმეში.

სამხკორი **ლახველაძე.**

# არ გვაქცევენ ყურადღებას.

აგერ ორი თვე იქნება რაც 4-ხე ლეგ. მესამე ათასეულს ძლიერ ცუდ პირობებში უხდება თავისი ცხოვრების მოწყობა, რაც სავსებით მიეწერება ადგილობრივ ხელისუფლების გულ გრილობას, თავის რაიონში მდგომ სამხედრო ნაწილისადმი. მისი დახმარება თითქმის სრულებით უმნიშვნელოა იმ დროს როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება ყოველგვარ საშვალებებს უნდა მიმართავდეს ტერიტორიალური ნაწილების განმტკიცებისთვის.

ათასეულის მთავარი ნაკლი გამოიხატება იმაში, რომ მას არ აქვს შესაფერისი ბინა, როგორც მუდმივ ისე ცვალებად და წვევანდელთა შემადგენლობისთვის. ეს ძლიერ აფერხებს საერთო საქმეს. და თუ ადგილობრივი ხელისუფლება დაინტერესდებოდა ამ საქმეში, ხაშურში ათასეულისთვის შესაფერისი შენობის აღმოჩენა შესაძლებელი იყო. ათასეულს ყავს აგრეთვე ცხენები და ჯორები, რომლებიც მოთავსებულია ჩვეულებრივ სადგომ ოთახში.

ამაზედ არა ერთხელ მიგვიმართავს აღმასკომისათვის, მაგრამ პასუხად მხოლოთ სიტყვიერი დაპირება იყო საჯინობის აგებაზე.

არც უფ. და პოლიტშემადგენლობა არის დაკმაყოფილებული ბინით. ამის შესახებაც ბევრჯერ გვითხოვია ადგ. ხელისუფლებისთვის, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ ჩვენთვის. ათასეულში სამი თვის განმავლობაში არ გვქონია სინათლე.

დროა ადგილობრივმა აღმასკომმა მოიცალოს თავის ათასეულისათვის და სათანადო დახმარება აღმოუჩინოს მას.

სამხკორი ლახვარი.

# ამბები სოფლებიდან.

**მოუსავლიანობისაგან დაზარალებულთათვის.**

გორის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სასოფლო სამეურნეო ბანკის წინაშე გორის მაზრაში მოუსავლიანობით დაზარალებულ გლეხთათვის სათესლე ხორბლეულის შესაძენათ მისცეს განსაკუთრებული სესხი.

**ჯანმრთელობის საქმე სოფლათ.**

სოფ. გუჯარეთში, ხცისაში და ახალ დაბაში (ბორჯომის ხეობა) გადაწყვეტილია გაიხსნას საექიმო პუნქტები.

**საექიმო პუნქტები.**

გორის აღმასკომი ხსნის საექიმო დახმარების უჯრედებს სოფ. ალში, საცხიურში, დირბისში და სკრაში.

**ტყით სარგებლობა.**

გორის აღმასკომმა ნება დართო გლეხებს უფასოთ ისარგებლონ და გამოიტანონ ტყეებიდან ნაყარი შეშა (ფარჩხი).

**რადიო სვანეთში.**

სვანეთში გადაწყვეტილია დაიდგას რადიო-მიმღები სადგურები სოფ. მესტიასა და მულახში.

**ახალციხის გლეხთა სახლი.**

ამ ჟამად უკვე გახსნილია და მოქმედობს ახალციხის გლეხთა სახლი.

სახლთან მოწყობილია სამკითხველო და ღამის გასათევი ბინები.

**სამეურნეო იარაღების შესაძენათ.**

ახალციხის გლეხკომები ამ ჟამად აწარმოებენ ცნობების შეკრებას თუ რომელ თემს რამდენი და რა სას.-სამ. იარაღი ეჭირვება, რომ ამის კვალობაზე შეიძინოს ეს იარაღები სამ. გლეხკომმა.

**მიზანშეწონილი გაერთიანება.**

სოფ. ყანდაურის (სიღ. მაზრა). გლეხკომმა თავისი სავაჭრო თანხები გადასცა ადგილობრივ კოოპერატივს.

**მეფუტკრეობის კურსები.**

მიმდინარე თვის განმავლობაში გორის მაზრაში გადაწყვეტილია გაიხსნას მეფუტკრეობის კურსები.

# ახალი ამბები.

— **ახალი ამბულატორია სამხედრო მოსამსახურეთათვის.** ქ. დ. შტაბთან დაარსდა შტატს გარეშე ამბულატორია, რომელიც იძლევა სამხედრო მუშა-მოსამსახურეთათვის უფასო საექიმო დახმარებას ყოველ დღე 2—3 საათამდე.

— **წერა-კითხვის უც. მოსპობა ტერნაწილებში.** ტერნაწილებში წერა-კითხვის უცოდინარეობის მოსპობის მიზნით გორის მაზრის ტერ-ნაწილების პუნქტებში იხსნება წ.-კ. სალიკვიდაციო სკოლები.

— **კომმუნები საქართველოში.** მიწად-მოქმ. კომისარიატმა დღემდე მთელ საქართველოში დაარსა 50 სასოფლო-სამეურნეო კომუნა.

— **წიგნები სოფლებისათვის.** ტფ. აღმასკომმა იანვრიდან დღემდე დაგზავნა მაზრის სოფლებში 2,089 მანეთის სხვა და სხვა ხასიათის წიგნები.

— **ელექტრო სადგურების** სამმართველომ საზღვარ-გარედ შეუკვეთა 56.202 მანეთის სხვა და სხვა მანქანების ნაწილები.

— **ქოხ-სამკითხველოები.** მარტო ტფილისის მაზრაში ამ ჟამად გახსნილია 50 ქოხ სამკითხველო.

— **ტყეების დაცვის მიზნით.** თბილისის ქალ. აღმასკომის დადგენილებით გამოიცემა წიგნი „ტყეების ხანძრისაგან დაცვის" შესახებ.

— **იმერული ღვინოები.** წარმოკავშირს გადაწყვეტილი აქვს წელს იმერეთში შეიძინოს 40 ათასი ვედრო ღვინო გლეხებისაგან.

— **უზრუნველყოფის კომისარიატმა** შესწყვიტა ლიტერების და ფულათ დახმარების გაცემა სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ინვალიდებისათვის.

— **ა. კ. ავიაციის მუშაობა.** ერთი წლის განმავლობაში ა. კ. საავიაციო საზოგადოებას მოუხდენია 308 გადაფრენა და გადაუყვანია 997 მგზავრი. ამნაირათ „ზაკავია" თავის მუშაობით სდგას 1-ლ ადგილზე მთელ კავშირში.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ღრუბლების დალექვა (გაქრობა—წყლად ქცევა.)**

ამერიკის დედაქალაქიდან გადმოცემული ცნობით, სამხედრო საჰაერო ფლოტის მფრინავებმა წარმატებით შეასრულეს ღრუბლების დასალექათ—გასაქრობათ მომხდარი ცდა.

ცდა გამოიხატებოდა შემდეგში: განსაკუთრებული ხელსაწყოს საშუალებით გატარებული იქნა ღრუბლებში ელექტრონით დატენილი ქვიშა, რომელიც იკრავს წყლის წვეთებს.

ეს ცდები კიდევ გრძელდება. იმ შემთხვევაში თუ ეს ცნობა და ცდები გამართლდენ, მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო სასოფლო სამეურნეო მიზნების, არამედ საჰაერო მიმოსვლის საქმეშიც.

**ჰაეროპლანი მალიარიის წინააღმდეგ.**

ამერიკის ერთ-ერთ შტატში (ლუზიანა) მოახდინეს ცდა, მალიარიის კოღოების მოსასპობათ ჰაეროპლანის საშუალებით. იმ ადგილებში, სადაც გავრცელებულია მალიარიის გამავრცელებელი კოღოები, ჰაეროპლანიდან გაპნეული იქნა ეგრედ წოდებული „პარიზის სიმწვანე". კოღოები, როგორც კი შეეხენ ამ შხამიან ნივთიერების ნაწილაკებს—დაიხოცენ.

მალიარიის წინააღმდეგ ასეთი საშუალებით ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ექნება განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მიწის ზედაპირიდან შეუძლებელია მათ წინააღმდეგ სხვა და სხვა ცნობილ საშუალებათა გამოყენება.

# ჩვენი ფოსტა.

**პირველ მესანგრეთა ასეულის სამხკომს.** შამოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. გუჯაბიძეს.** თქვენი კორესპონდენცია დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. მორიელს.** თქვენი კორესპონდენცია „დაუვიწყარი კვირა" არ გვ'ვა. ამის შესახებ უკვე იყო ჩვენს გაზეთში.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

# განცხადებები.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტნილი აქვთ განცხადება შემდეგ ამხანაგებს:

კომპარტიის კანდიდატს გიორგი სამსონის-ძე კეპულაძეს და კომკავშირის წევრს ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე გიორგაძეს. პირველი თხოულობს კომპარტიის წევრად დამტკიცებას და მეორე კი კომპარტიის კანდიდატათ გადაყვანას.

აღნიშნული უჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე საწინააღმდეგო იცით მათ შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად.

მისამართი: ქ. ტფილისი დავიდოვის ქუჩა № 6. ცალკე საკავშირო ასეულის ყაზარმა.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი **ახალაშვილი.**

# ფორმის ტანისამოსის ტარების შესახებ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა.

**ქ. ტფილისისა და მისი რაიონების გარნიზონისადმი**

**№ 9.**

**30 მარტი 1925 წ. ქ. ტფილისი.**

**§ 1.**

ვაცხადებ სახელმძღვანელოდ და მტკიცედ ასასრულებლად საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებას № 272 ა/წ. 11 მარტიდან.

მოსკოვის, ლენინგრადის და ვოლგას სანაპირო სამხედრო ოლქების უკანასკნელ ხანებში გასინჯვა და ჩემი პირადი დაკვირვება მოწმობს იმას, რომ მიუხედავად ბრძანებებისა და სამხედრო წესდებათა მოთხოვნილებისა არმიაში შემჩნეულია ფორმის ტანისამოსის ტარების წესების დარღვევა.

სამხედრო და სამოქალაქო ტანისამოსის არევა, დაუდევრობა და უწესოება ფორმის ტარებაში—წყობილებაში, მეცადინეობისა და განწესების დროს ხშირი მოვლენაა.

ეს დარღვევა უმეტეს ნაწილად ეხება საშუალო და ნაწილობრ უფროს მეთაურთა შემადგენლობას.

ზოგიერთ ნაწილებში დაუდევრობა ტანისამოსის ტარებაში მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის შორის წარმოადგენს იმდენად მუდმივსა და ჩვეულებრივ მოვლენას, რომ გარეგანი შეხედულობით: გახსნილი მაზარით, ყურებ გაშლილი ჩაფხუტით და სხვა ასეთებით შეიძლება შეუცდომლად გაარჩიო მეთაურთა შემადგენლობა.

განსაკუთრებით განირჩევა ამ მხრივ მე-57-დე დივიზიის მე-170 პოლკი.

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო მოითხოვს მთელი არმიის, ყოველი სამხედრო მოსამსახურესაგან და პირველ რიგში უფროსთა შემადგენლობისაგან წესდების მოთხოვნილებათა და დისციპლინის წესების სწორ და მტკიცე ასრულებას და უბრძანებს ოლქების ჯართა და გარნიზონის უფროსებს მიაქციონ სათანადო ყურადღება სამხედრო მოსამსახურეების მიერ ფორმის ტარებას და სასტიკად მოსპონ ამ მხრივ ყოველი მაგალითი გაუფრთხილებლობისა და დაუდევრობის.

საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს თავმჯდომარე

**მ. ფრუნზე.**

(მუშურ-გლეხური წითელ არმიის მთავარ სამმართველოსადმი)

**§ 2.**

ზემო მოყვანილ № 272 ბრძანების ასასრულებლად კვლავ ვამტკიცებთ ბრძანებას ტფილისის გარნიზონისადმი № 138 1924 წლის 11 ნოემბრიდან სამხედრო ფორმის ტარების წესთა შემჩნეულ დარღვევის შესახებ.

ქალაქის კომენდანტმა მიაქციოს სასტიკი ყურადღება ამ ბრძანების ასრულებას, დააკავოს ყველა, ვინც კი გამოიჩენს დაუდევრობას ფორმის ტარებაში და დასაჯოს დამნაშავენი მასზე მინიჭებულ უფლების თანახმად.

გარნიზონისა და კ. წ. დ. არმიის ჯარების დრ. უფროსი

**კუტირიევი.**

ქ. ტფილისისა და მისი რაიონების კომენდანტი

**აბაშიძე.**

დივიზიის ვეტექიმ ამხ. კ. მ. ფარეიშვილის მიერ შედგენილია ქართულ ენაზე და დასაბეჭდად გამზადებული წიგნები:

1. „ცხენის მოვლა",
2. „ცხენი სასოფლო მეურნეობაში და წითელ ლაშქარში, მასზედ ზრუნვა და მისი მოვლის 27 მცნება",
3. „შინაურ ცხოველებისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი",
4. „დაჭედვის თეორია" პროფესორი ლანგენბახერის (რუსულიდან თარგმნილი) და
5. ტაბულა „ცხენისა და მუშა საქონლის დაჭედვა" 94 სურათით და თითეული სურათის ქვეშ ქართულ—რუსული წარწერა.

ყველა ნაშრომები განხილული და მოწონებულია მოსახლეობასა და ჯარში გასავრცელებლად რესპუბლიკის მიწადმოქმედების კომისარიატის ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების და კ. წ. დროშოვან ლაშქრის საევტერინარო სამმართველოს მიერ.

თითეული წიგნი საშუალოდ ეღირება არა ნაკლებ. 40 კაპ. და არა უმეტეს 60 კაპ. დაჭედვის ტაბულა კი არა ნაკლებ 1 მანეთისა და არა უმეტეს 1 მან. 50 კაპ.

ყველა იმ სამხედრო ნაწილებმა თუ კერძო პირებმა, რომლებიც მოისურვებენ ამ წიგნების და ჭედვის ტაბულის შეძენას, შეუძლიათ შეუკვეთონ თვით ავტორს მე-2-ე ქართულ მსრ. დივიზიის შტაბში, ოთახი მე-12-ტე.

.ნ .დ ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.